ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 26

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2012 წლის 25 მაისი
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") ნიშნავს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე დამკვეთ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას;

1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელმაც „შემსყიდველთან" გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებისთვის;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ სსიპ ქალაქ რუსთავის №21 საჯარო სკოლასა (შემდგომში „შემსყიდველი"), რომელსაც წარმოადგენს ამ სკოლის **დირექტორი ნინო გავაშელი** და მეორეს მხრივ – **აუდიტურ კომპანია „კომპაუდს"** (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის, რომელსაც წარმოადგენს მისი **დირექტორი ივანე ფანცულაია.**

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

3.1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ჩამოსაწერად მიჩნეული და გამიზნული ამორტიზირებული ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის თაობაზე შესაბამისი დასკვნის მომზადება.

3.2 ჩამოწერის შედეგად მიღებული ლითონის შემცველი ნარჩენების (ჯართი) სავარაუდო წონისა და საბაზრო ღირებულების დადგენა 2012 წლის მაისის მდგომარეობით

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 59 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადის გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

5.1.1 „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს მომსახურების ხარისხიანად გაწევა მიმდინარე წლის 25 მაისიდან 10 ივნისამდე პერიოდში;

5.1.2 „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცვა;

5.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

5.2.1 გადასცეს „მიმწოდებელს" ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება და დაკავშირებულია აუდიტის საგანთან;

5.2.2. შეუქმნას „მიმწოდებელს" აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო სამუშაო პირობები;

5.2.3 უზრუნველყოს აუდიტური შემოწმებით გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება;

5.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

5.3.1 მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, აგრეთვე „შემსყიდველთან“ დადებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე განსაზღვროს აუდიტის ჩატარების ფორმები და მეთოდები;

5.3.2 „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს აუდიტის საგანთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა;

5.3.3 უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ არ უზრუნველყოფს მისთვის აუდიტის ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენას;

5.3.4 მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება;

5.3.5 „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა;

5.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.4.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

5.4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტური სტანდარტები და ხელშეკრულებით დადგენილი პირობები;

5.4.3 „შემსყიდველს“ აცნობოს აუდიტური შემოწმებისას გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შესახებ;

5.4.4 საიდუმლოდ შეინახოს აუდიტური შემოწმებისას (მომსახურების გაწევისას) მიღებული ყველა სახის ინფორმაცია.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება „მიმწოდებლის“ მიერ აუდიტური დასკვნისა და ანგარიშის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ეძლევა ამ ხელშეკრულების ხელის მომწერ პირებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 „მიმწოდებლის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე “შემსყიდველის” მხრიდან კონტროლს განახორციელებს საჯარო სკოლის ადმინისტრაცია.

8. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

„მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ იგი უზრუნველყოფს მომსახურების მაღალხარისხოვნად გაწევას და რომ მისი ქმედებით ზარალი არ მიადგება „შემსყიდველს“.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდე არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის;

15.4 „მიმწოდებელს“ აუდიტური მომსახურების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ეკისრება მიყენებული ზარალის ანაზღაურების (ქონებრივი) პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

დავების გადაწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ საკუთარი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს) და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ ქალაქ რუსთავის №21	*აუდიტური კომპანია „კომპაუდი“*
საჯარო სკოლა	ქ.თბილისი. აკ. წერეთლის გამზ. №95ა.
მისამართი: ქ. რუსთავი,	საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“
ეესხიშვილის II გასას. №3	ბანკის კოდი: LBRTGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 216317297	ა/ა № GE 67 LB 011 311 033 109 7000
ბანკი: სს „ვითიბი“ბანკი „ჯორჯია“	ს/კ №202 385 169
რუსთავის ფილიალი	
ბანკის კოდი: UGEBGE22	
ა/ა GE20VT0700000000753608	
დირექტორი	დირექტორი
ნინო გავაშელი	ივანე ფანასოლაია